სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის

2025 წლის **31** დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული,
სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 3

სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომაორეობით 5

სპეციალური დანიშნულების სრული შემოსავლის ანგარიშგება 2025 დასრულებული წლისათვის 6

სპეციალური დანიშნულების კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2025 დასრულებული წლისათვის 7

სპეციალური დანიშნულების ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 2025 დასრულებული წლისათვის 8

ახსნა განმარტებითი შენიშვნები 9

შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია 9

შენიშვნა 2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა 9

შენიშვნა 3. ძირითადი საშუალებები 13

შენიშვნა 4. არამატერიალური აქტივები 14

შენიშვნა 5. სხვა გრძელვადიანი აქტივები 14

შენიშვნა 6. სასაქონლო მატერიალური მარაგები 14

შენიშვნა 7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 14

შენიშვნა 8. წინასწარ გადახდილი გადასახადები 15

შენიშვნა 9. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები 15

შენიშვნა 10. ნასესხები საშუალებები 16

შენიშვნა 11. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება 16

შენიშვნა 12. კომერციული საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი 17

შენიშვნა 13. შრომის ანაზღაურება 17

შენიშვნა 14. სამაუწყებლო ხარჯი 17

შენიშვნა 15. კომუნიკაციის და კომუნალური ხარჯი 17

შენიშვნა 16. სხვა ხარჯი 17

შენიშვნა 17. პირობითი ვალდებულებები 17

შენიშვნა 18. დაკავშირებული მხარეები 18

შენიშვნა 19. ფინანსური რისკის მართვა 18

შენიშვნა 20. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები 18

Moore Abc, LLC
2 D. Gamrekeli Str,
0160, Tbilisi, Georgia

T +995 32 2 000 123
E info@moore.ge

www.moore-georgia.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს:

მოსაზრება

ჩვენ განვახორციელეთ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ (შემდეგში, “მაუწყებელი”) თანდართული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2025 წლის 31 დეკემბრისათვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისაგან, აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის სრული შემოსავლის ანგარიშგების, ფულადი ნაკადებისა და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგებებისაგან, ასევე - ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისაგან, რომელიც შეიცავს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა ახსნა-განმარტებით ინფორმაციას.

ჩვენი აზრით, თანდართული 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, წარდგენილია სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნა 2-ში აღწერილი საბუღალტრო პოლიტიკის შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში ტექსტში ასს-ები) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - “აუდიტორის პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე” - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ მაუწყებლისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი

გვინდა, ყურადღება გავამახვილოთ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგრიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნა #2-ზე, სადაც განმარტებულია, რომ წინამდებარე ფინანსური ანაგარიშგება მომზადებულია სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“-ს საქართველოს პარლამენტისათვის ყოველწლიური ანგარიშვალდებულების შესრულების მიზნით, სათანადო ნორმატიული აქტების საფუძველზე წარმოებული საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენებით შესაბამისად, წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება შეიძლება არ იყოს შესაფერისი სხვა მიზნებისთვის.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაზე

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“-ს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე ახსნა-განმარტებით შენიშვნა #2-ში მოცემული სააღიცხვო პოლიტიკის შესაბამისად, ასევე, ისეთი შიდა კონტროლის განხორციელებაზე, რომელსაც ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ აუცილებელია იმგვარი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით განპირობებულ არსებით უზუსტობას.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს მაუწყებლის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს მაუწყებლის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან მაუწყებლის სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

Moore Abc is a limited liability company -registered in Georgia with identification number 206331691. Registered in the State Registry of Audit Firms with the registration number: SARAS-F-320544. An independent member firm of Moore Global Network Limited - a network of independent audit and consulting firms.

აუდიტორის პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები, შეიძლება, გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომებით გამოწვეულ სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა, შეიძლება, გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ მაუწყებლის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა მაუწყებლის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება, ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით, შეიძლება, კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე, აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მიხეილ აბაიაძე / სერთიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი

შპს „მოორ ეიბისი“

აუდიტორული კომპანიის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-320544

აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-865011

თარიღი: 21 აპრილი 2026

თბილისი, საქართველო

სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

გრძელვადიანი აქტივები	**შენიშვნა**	**31 დეკემბერი 2025**	**31 დეკემბერი 2024**
ძირითადი საშუალებები	**3**	133,476,686	121,278,501
სხვა არამატერიალური აქტივები	**4**	4,412,658	4,544,453
სხვა გრძელვადიანი აქტივები	**5**	2,607,278	2,441,633
სულ გრძელვადიანი აქტივები		**140,496,622**	**128,264,587**
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები	**6**	1,235,000	2,316,339
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**7**	5,419,181	11,684,752
წინასწარ გადახდილი გადასახადები	**8**	14,346,500	12,665,904
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	**9**	32,490,118	37,414,887
სულ მიმდინარე აქტივები		**53,490,799**	**64,081,882**
სულ აქტივები		**193,987,421**	**192,346,468**
ვალდებულებები და კაპიტალი			
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		187,094,883	167,638,675
სულ კაპიტალი		**187,094,883**	**167,638,674**
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ნასესხები საშუალებები	**10**	-	19,176,554
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**-**	**19,176,554**
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული ვალდებულებები	**11**	6,892,538	5,531,240
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**6,892,538**	**5,531,240**
სულ ვალდებულებები		**6,892,538**	**24,707,794**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**193,987,421**	**192,346,468**

წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2026 წლის 20 აპრილს:

ქ-ნი თინათინ ბერძენიშვილი, გენერალური დირექტორი

ბ-ნი ნოდარ ჭიჭინაძე, ფინანსური დირექტორი

სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

გრძელვადიანი აქტივები	შენიშვნა	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
ძირითადი საშუალებები	3	133,476,686	121,278,501
სხვა არამატერიალური აქტივები	4	4,412,658	4,544,453
სხვა გრძელვადიანი აქტივები	5	2,607,278	2,441,633
სულ გრძელვადიანი აქტივები		**140,496,622**	**128,264,587**
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები	6	1,235,000	2,316,339
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	5,419,181	11,684,752
წინასწარ გადახდილი გადასახადები	8	14,346,500	12,665,904
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	9	32,490,118	37,414,887
სულ მიმდინარე აქტივები		**53,490,799**	**64,081,882**
სულ აქტივები		**193,987,421**	**192,346,468**
ვალდებულებები და კაპიტალი			
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		187,094,883	167,638,675
სულ კაპიტალი		**187,094,883**	**167,638,674**
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ნასესხები საშუალებები	10	-	19,176,554
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**-**	**19,176,554**
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული ვალდებულებები	11	6,892,538	5,531,240
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**6,892,538**	**5,531,240**
სულ ვალდებულებები		**6,892,538**	**24,707,794**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**193,987,421**	**192,346,468**

წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2026 წლის 20 აპრილს:

ქ-ნი თინათინ ბერძენიშვილი, გენერალური დირექტორი

ბ-ნი ნოდარ ჭიჭინაძე, ფინანსური დირექტორი

სპეციალური დანიშნულების სრული შემოსავლის ანგარიშგება 2025 დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2025 წელი	2024 წელი
სახელმწიფოსგან მიღებული დაფინანსება		84,264,456	85,253,542
კომერციული საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	**12**	2,332,554	2,143,621
შრომის ანაზღაურება	**13**	(35,394,201)	(32,739,297)
შესყიდული მომსახურება		(1,794,383)	(929,061)
სამაუწყებლო ხარჯი	**14**	(12,314,749)	(13,067,826)
ოფისის ხარჯი		(1,764,167)	(411,561)
კომუნიკაციის და კომუნალური ხარჯი	**15**	(2,521,563)	(1,732,614)
ტრანსპორტის ხარჯი		(365,551)	(318,627)
დაცვის ხარჯი		(204,542)	(304,841)
იჯარის ხარჯი		(14,521)	(13,000)
საგადასახადო ხარჯი		(4,829,277)	(1,919,321)
ცვეთა და ამორტიზაცია	**3,4**	(7,489,400)	(7,404,624)
ძირითადი საშუალებების და სხვა მატერიალური მარაგების ჩამოწერა		-	(93,768)
სხვა ხარჯი	**16**	(1,883,809)	(1,617,529)
უიმედო ვალების ხარჯი	**7**	(2,408,227)	-
სხვა შემოსავალი		48,210	110,440
საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსავალი/(ხარჯი)		(72,188)	40,438
ფინანსური შემოსავალი	**9**	4,095,089	7,387,857
ფინანსური ხარჯი	**10**	(227,524)	(2,990,655)
მოგება დაბეგვრამდე		**19,456,207**	**31,393,175**
სხვა სრული შემოსავალი			-
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი		**19,456,207**	**31,393,175**

წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2026 წლის 20 აპრილს:

ქ-ნი თინათინ ბერძენიშვილი, გენერალური დირექტორი

ბ-ნი ნოდარ ჭიჭინაძე, ფინანსური დირექტორი

სპეციალური დანიშნულების სრული შემოსავლის ანგარიშგება 2025 დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2025 წელი	2024 წელი
სახელმწიფოსგან მიღებული დაფინანსება		84,264,456	85,253,542
კომერციული საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	12	2,332,554	2,143,621
შრომის ანაზღაურება	13	(35,394,201)	(32,739,297)
შესყიდული მომსახურება		(1,794,383)	(929,061)
სამაუწყებლო ხარჯი	14	(12,314,749)	(13,067,826)
ოფისის ხარჯი		(1,764,167)	(411,561)
კომუნიკაციის და კომუნალური ხარჯი	15	(2,521,563)	(1,732,614)
ტრანსპორტის ხარჯი		(365,551)	(318,627)
დაცვის ხარჯი		(204,542)	(304,841)
იჯარის ხარჯი		(14,521)	(13,000)
საგადასახადო ხარჯი		(4,829,277)	(1,919,321)
ცვეთა და ამორტიზაცია	3,4	(7,489,400)	(7,404,624)
ძირითადი საშუალებების და სხვა მატერიალური მარაგების ჩამოწერა		-	(93,768)
სხვა ხარჯი	16	(1,883,809)	(1,617,529)
უიმედო ვალების ხარჯი	7	(2,408,227)	-
სხვა შემოსავალი		48,210	110,440
საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსავალი/(ხარჯი)		(72,188)	40,438
ფინანსური შემოსავალი	9	4,095,089	7,387,857
ფინანსური ხარჯი	10	(227,524)	(2,990,655)
მოგება დაბეგვრამდე		**19,456,207**	**31,393,175**
სხვა სრული შემოსავალი			-
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი		**19,456,207**	**31,393,175**

წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2026 წლის 20 აპრილს:

ქ-ნი თინათინ ბერძენიშვილი, გენერალური დირექტორი

ბ-ნი ნოდარ ჭიჭინაძე, ფინანსური დირექტორი

სპეციალური დანიშნულების კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2025 დასრულებული წლისათვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2023	**-**	**136,245,500**	**136,245,500**
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი	-	31,393,175	31,393,175
31 დეკემბერი 2024	**-**	**167,638,675**	**167,638,675**
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი	-	19,456,207	19,456,207
31 დეკემბერი 2025	**-**	**187,094,883**	**187,094,883**

წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2026 წლის 20 აპრილს:

ქ-ნი თინათინ ბერძენიშვილი, გენერალური დირექტორი

ბ-ნი ნოდარ ჭიჭინაძე, ფინანსური დირექტორი

სპეციალური დანიშნულების კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2025 დასრულებული წლისათვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2023	**-**	**136,245,500**	**136,245,500**
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი	-	31,393,175	31,393,175
31 დეკემბერი 2024	**-**	**167,638,675**	**167,638,675**
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი	-	19,456,207	19,456,207
31 დეკემბერი 2025	**-**	**187,094,883**	**187,094,883**

წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2026 წლის 20 აპრილს:

ქ-ნი თინათინ ბერძენიშვილი, გენერალური დირექტორი

ბ-ნი ნოდარ ჭიჭინაძე, ფინანსური დირექტორი

სპეციალური დანიშნულების ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 2025 დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2025 წელი	2024 წელი
ფულადი სახსრების ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან			
ბიუჯეტიდან დაფინანსება		84,245,734	85,242,456
მიზნობრივი გრანტი		18,722	11,086
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები		1,413,585	1,801,418
საპროცენტო შემოსავალი	**9**	3,808,312	7,387,857
მომწოდებლებისთვისა და მომუშავეებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(56,617,265)	(51,952,490)
გადახდილი გადასახადები		(1,918,896)	(3,519,428)
საოპერაციო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები		**30,950,191**	**38,970,899**
ფულადი სახსრების ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შეძენა/მშენებლობა		(22,230,883)	(57,013,182)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული ფულადი სახსრები		5,761,350	5,761,350
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები		**(16,469,533)**	**(51,251,832)**
ფულადი სახსრების ნაკადი საფინანსო საქმიანობიდან			
სესხის ძირის დაფარვა	**10**	(19,176,554)	(10,905,566)
გადახდილი პროცენტი	**10**	(227,524)	(2,990,655)
საფინანსო საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები		**(19,404,078)**	**(13,896,221)**
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ნეტო ზრდა (შემცირება)		**(4,923,419)**	**(26,177,153)**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	**9**	37,414,887	63,589,628
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(1,351)	2,413
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	**9**	**32,490,118**	**37,414,887**

წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2026 წლის 20 აპრილს:

ქ-ნი თინათინ ბერძენიშვილი, გენერალური დირექტორი

ბ-ნი ნოდარ ჭიჭინაძე, ფინანსური დირექტორი

სპეციალური დანიშნულების ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 2025 დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2025 წელი	2024 წელი
ფულადი სახსრების ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან			
ბიუჯეტიდან დაფინანსება		84,245,734	85,242,456
მიზნობრივი გრანტი		18,722	11,086
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები		1,413,585	1,801,418
საპროცენტო შემოსავალი	9	3,808,312	7,387,857
მომწოდებლებისთვისა და მომუშავეებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(56,617,265)	(51,952,490)
გადახდილი გადასახადები		(1,918,896)	(3,519,428)
საოპერაციო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები		**30,950,191**	**38,970,899**
ფულადი სახსრების ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შეძენა/მშენებლობა		(22,230,883)	(57,013,182)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული ფულადი სახსრები		5,761,350	5,761,350
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები		**(16,469,533)**	**(51,251,832)**
ფულადი სახსრების ნაკადი საფინანსო საქმიანობიდან			
სესხის ძირის დაფარვა	10	(19,176,554)	(10,905,566)
გადახდილი პროცენტი	10	(227,524)	(2,990,655)
საფინანსო საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები		**(19,404,078)**	**(13,896,221)**
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ნეტო ზრდა (შემცირება)		**(4,923,419)**	**(26,177,153)**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	9	37,414,887	63,589,628
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(1,351)	2,413
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	9	**32,490,118**	**37,414,887**

წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2026 წლის 20 აპრილს:

ქ-ნი თინათინ ბერძენიშვილი, გენერალური დირექტორი

ბ-ნი ნოდარ ჭიჭინაძე, ფინანსური დირექტორი

ახსნა განმარტებითი შენიშვნები

შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“-ს შექმნას საფუძველი ჩაუყარა მაუწყებლობის შესახებ კანონმა, რომელიც საქართველოს პარლამენტმა 2004 წლის 23 დეკემბერს მიიღო და ძალაში 2005 წლის 18 იანვარს შევიდა. სახელმწიფო ტელე-რადიო კორპორაციის საზოგადოებრივ მაუწყებლად ტრანსფორმაციის დასაწყისი სწორედ კანონის მიღებას უკავშირდება, მაუწყებელი გადავიდა მმართველობის ახალ ფორმაზე. 2005 წლის 10 ივნისს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა სამეურვეო საბჭო, როგორც საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებული და საზოგადოების წარმომადგენლობითი ორგანოს შემადგენლობა; ხოლო სამეურვეო საბჭომ 2005 წლის 19 აგვისტოს, ღია კონკურსის წესით საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორი აირჩია.

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი “-ს იურიდიული მისამართია ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N31, თბილისი საქართველო.

შენიშვნა 2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

2.1 მომზადების საფუძველი.

წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია, საქართველოში საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის სავალდებულო ნორმატიული აქტების საფუძველზე, მათ შორის საქართველოს საბიუჯეტო კოდექსისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის №108 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად, და არ წარმოადგენს სრულ IPSAS ფინანსურ ანგარიშგებას;

უცხოულ ვალუტაში გადაანგარიშება

(a) სამუშაო და წარდგენის ვალუტა

მაუწყებლის სამუშაო ვალუტა არის ის ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ძირითად ეკონომიკურ გარემოში, რომელშიც მოცემული ერთეული ფუნქციონირებს. მაუწყებლის სამუშაო და წარდგენის ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა (ქართული ლარი).

2025 წლის 31 დეკემბრისათვის და 2024 წლის 31 დეკემბრის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების გადასაანგარიშებლად გამოყენებული გაცვლითი კურსის ძირითადი განაკვეთები:

ვალუტა	31-დეკ-2025	31-დეკ-2024
აშშ დოლარი (USD)	2.6951	2.8068
ევრო (EUR)	3.1737	2.9306
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი (GBP)	3.6446	3.5349
შვეიცარიული ფრანკი (CHF)	3.4197	3.1118

(b) ოპერაციები და ნაშთები

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება მაუწყებლის სამუშაო ვალუტაში საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის დასასრულს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი - რომელიც წარმოიშვა ოპერაციების განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების მაუწყებლის სამუშაო ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად წლის ბოლოს სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, - აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

შენიშვნა 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

2.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება მიმდინარე წლიური ცვეთით შემცირებული საბალანსო ღირებულებით. ძირითადი საშუალებების თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით.

ძირითადი საშუალებების ჯგუფი როდესაც შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე.

ძირითადი საშუალებები, რომლებიც გადმოცემულია უსასყიდლოდ სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებისგან ან საბიუჯეტო ორგანიზაციებისგან, შეფასებულია დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ და აღირიცხება სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებელის ფინანსურ ანგარიშგებაში. ასეთი აქტივები თავდაპირველად აღიარდება შეფასებული თანხით და შემდეგ აღირიცხება, საბალანსო ღირებულება შემცირებული დაკლებული წლიური ცვეთის ხარჯით.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები, დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხული დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. წლის განმავლობაში მიღებულ აქტივს, წლის ბოლოს ერიცხება მთლიანი წლის ცვეთა. 2020 წლამდე მიღებული აქტივების სიცოცხლის ვადა გამოხატული იყო კოეფიციენტებში, ხოლო 2020 წლიდან მიღებული აქტივების ვადა გამოხატულია სასიცოცხლო წლების მიხედვით.

აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

	ცვეთის განაკვეთი / სასიცოცხლო ვადა
მანქანა-დანადგარები	4-29 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	7-9 წელი
სხვა ძირითადი აქტივები	7-10 წელი

2.3 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენთიფიცირებადი არაფულადი აქტივი.

მაუწყებლის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასიცოცხლო პერიოდი, წარდგენილია მიმდინარე წლის ცვეთით შემცირებული საბალანსო ღირებულებით.

არამატერიალური აქტივები მოიცავს სატელევიზიო გადაცემების ლიცენზიებს, კომპიუტერულ პროგრამებს, სხვადასხვა სატელევიზიო და რადიო პროგრამებს, გამოყენების უფლებებს, ინტელექტუალურ საკუთრებებს და სხვა არამატერიალურ აქტივებს რომლებზეც სსიპ საზოგადოებრივ მაუწყებელს გააჩნია ხელშეკრულებები.

ლიცენზიებზე და სხვა ვადიან არამატერიალურ აქტივებზე ამორტიზაცია ერიცხება ხელშეკრულებით განსაზღვრული პერიოდზე გაანგარიშებით, წრფივი მეთოდის გამოყენებით, ხოლო ინტელექტუალური აქტივები არ ამორტიზირდება.

2.4 სასაქონლო მატერიალური მარაგები

მარაგები წარდგენილია თვითღირებულებით. სასაქონლო-მატერიალური მარაგები თვითღირებულების შეფასება ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენის დროს და მათ ამჟამინდელ ადგილას და მათ მდგომარეობაში მოსაყვანად გაწეულ დანახარჯებს.

მარაგების კორექტირება ხდება ინვენტარიზაციის აქტის შედეგებზე დაყრდნობით. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანების თანახმად, მარაგების ნაშთის კორექტირება ხდება მაშინ, როცა ინვენტარიზაცია ოფიციალურად ითვლება დასრულებულად და დადასტურებულია ზემდგომი საბჭოს მიერ.

შენიშნა 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

2.5 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები აღიარდება, როდესაც ორგანიზაცია გახდება ინსტრუმენტის საკონტრაქტო პირობების მხარე.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით. ტრანზაქციული ხარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება შეძენას ან ფინანსური აქტივისა და ვალდებულებების (არ გულისხმობს ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებით აღიარებას ნამეტში/დეფიციტში) გამოშვებას, შესაბამისად ამცირებს ან ზრდის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების რეალურ ღირებულებას თავდაპირველი აღიარებისას.

ფინანსური აქტივები

ორგანიზაციის ძირითად ფინანსურ აქტივებს წარმოადგენს ფულადი სახსრები, სხვა მოთხოვნები და სხვა ფინანსური აქტივები.

საბიუჯეტო სახსრების ფინანსური აქტივების კონტროლს და მის განკარგვას ახორციელებს სახელმწიფო ხაზინა, რის გამოც სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტზე არსებული ორგანიზაციები წარუდგენენ მოთხოვნას (დებიტორული დავალიანება ხაზინის მიმართ) სახელმწიფო ხაზინას დაფინანსების თაობაზე.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ორგანიზაცია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ მაშინ, როდესაც აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა ამოიწურება ან გაუქმდება.

ფინანსური ვალდებულებები

ორგანიზაციის ფინანსურ ვალდებულებას წარმოადგენს სავაჭრო სხვა კრედიტორული დავალიანებები, რომლებიც აღიარებულია ამორტიზირებული ღირებულებით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ორგანიზაცია წყვეტს ფინანსური ვალდებულებების აღიარებას მხოლოდ მაშინ, როდესაც ორგანიზაციის ვალდებულებები გათავისუფლებულია, გააუქმებულია, ან იწურება. სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ან გადასახდელ საფასურს შორის აღიარდება ნამეტში/დეფიციტში.

2.6 ფული და ფულადი სახსრების ექვივალენტები

ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ექვივალენტებში იგულისხმება ნაღდი ფული, ბანკში განთავსებული დეპოზიტები მოთხოვნამდე და სხვა მოკლევადიანი მაღალ-ლიკვიდური ინვესტიციები, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამი თვე, ან უფრო ნაკლებია. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტებისაგან ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ის ნაშთები, რომელთა შეზღუდვაც ხდება, რათა არ მოხდეს მათი გაცვლა, ან ვალდებულების დასაფარავად გამოყენება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

2.7 დამატებული ღირებულების გადასახადი

გაყიდვებთან დაკავშირებული ჩასათვლელი დამატებული ღირებულების გადასახადი გადაეხდება საგადასახადო ორგანოებს უფრო ადრე, ვიდრე ადგილი ექნება შემდეგ მოვლენებს (ა) მომხმარებლებიდან დებიტორული დავალიანების ამოღება, ან (ბ) პროდუქტციის, ან მომსახურების მიწოდება მომხმარებლებისათვის. დასაბრუნებელი დღგ ზოგადად ამოღებადია ჩასათვლელი დღგ-ს მიმართ, დღგ-ს ანგარიშფაქტურის მიღების შემდეგ. საგადასახადო ორგანოები დღგ-ს ნეტო საფუძველზე დაფარვის ნებას იძლევიან. რეალიზაციასთან და შესყიდვებთან დაკავშირებული დღგ-ს აღიარება ხდება ფინასნური მდგომარეობის ანგარიშგებაში ნეტო საფუძველზე. როდესაც შექმნილია დებიტორული დავალიანების გაუფასურების ანარიცხი, გაუფასურების ზარალი აღირიცხება დებიტორის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხით, დღგ-ს ჩათვლით.

შენიშვნა 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

2.8 დამატებული ღირებულების გადასახადი *(გაგრძელება)*

მაუწყებელი აქტივად აღიარებს ფაქტობრივად გადახდილ და ანგარიშფაქტურით დადასტურებულ დამატებითი ღირებულების გადასახადს, ამ აქტივების სამომავლოდ ჩათვლის შესაძლებლობის შეფასების გარეშე.

გადახდილი, მაგრამ (პროპორციის გამო) ჩაუთვლელი დღგ, მათ შორის ძირითადი საშუალებების შეძენაზე, მშენებლობაზე და მარაგების შესყიდვაზე, წარდგენილია სრული შემოსავლების ანგარიშგებაში განცალკავებით - საგადასახადო ხარჯი.

2.8 სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით. სესხთან დაკავშირებულ საპროცენტო ხარჯს, კომპანია აღრიცხავს, სესხის გრაფიკით განსაზღვრული გადახდის დღის მდგომარეობით.

2.9 შემოსავლების აღიარება

შემოსავლები აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ ცალსახად შესაძლებელია ოპერაციის შედეგად ეკონომიკური სარგებლის მიღება და თანხობრივად ამ შემოსავლის საიმედოდ შეფასება. აღიარების მომენტი არ არის დამოკიდებული ეკონომიკური შემოსავლის ფაქტობრივად მიღების დროზე. შემოსავალი ფასდება მიღებული ან მისაღები შეთავაზების სამართლიანი ღირებულებით გადასახადების გარეშე. ამ პროცესში გაითვალისწინება გადახდის პირობები. კომპანია წარმოადგენს გამყიდველს და არა აგენტს ან მინდობილ პირს ყველა მის შემოსავლის მიმღებ ოპერაციაში, მას აქვს ფასდადების პროცესის კონტროლი და მასზე ზემოქმედებს ოპერაციის შედეგად წარმოშობილი კონტრაგენტის საკრედიტო რისკი.

2.10სახელმწიფოსგან მიღებული დაფინანსება

სახელმწიფოსგან მიღებული დაფინანსება ბუღალტრულ აღრიცხვაში საზოგადოებრივ მაუწყებელში აისახება როგორც შემოსავალი, როდესაც თანხა ოფიციალურად მიიღება და მაუწყებელს მისი გამოყენების უფლება აქვს. მიღების მომენტში თანხა ჯერ აღირიცხება როგორც ვალდებულება (გარკვეული პირობების არსებობის შემთხვევაში), ხოლო როდესაც პირობა სრულდება აღირიცხება როგორც შემოსავლად.

2.12 დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

გადასახდელი ხელფასები, შენატანი საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები, და სხვა სარგებელი (საკვები, ბინით უზრუნველყოფა, ტრანსპორტირება, და სხვ.) დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებას განახორციელებენ მაუწყებლის დაქირავებული მომუშავეები. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული, ან კონსტრუქციული ვალდებულება განახორციელოს საპენსიო, ან ანალოგიური სარგებლის გადახდა.

შენიშვნა 3. ძირითადი საშუალებები

თვითღირებულება	მიწა	სატრანსპორტო საშუალებები	მანქანა დანადგარები	სხვა ძირითადი საშუალებები	დაუმთავრებელი მშენებლობა*	სულ
2023 წლის 31 დეკემბერი	**22,930,445**	**1,600,349**	**53,227,587**	**3,149,049**	**31,858,383**	**112,765,813**
შეძენა	-	159,000	12,911,068	1,765,060	39,873,421	54,708,549
გასვლა	-	(19,710)	(255,126)	(10)	-	(274,846)
2024 წლის 31 დეკემბერი	**22,930,445**	**1,739,639**	**65,883,529**	**4,914,100**	**71,731,804**	**167,199,516**
შეძენა	-	-	5,099,496	2,409,944	10,723,121	18,232,562
გასვლა	-	(4,500)	(628,211)	(11,475)	-	(644,186)
2025 წლის 31 დეკემბერი	**22,930,445**	**1,735,139**	**70,354,814**	**7,312,569**	**82,454,925**	**184,787,892**
ცვეთა						
2023 წლის 31 დეკემბერი	**-**	**(497,196)**	**(38,641,750)**	**(1,994,714)**	**-**	**(41,133,660)**
ცვეთა წლის მანძილზე	-	(218,202)	(4,421,289)	(315,796)	-	(4,955,288)
გასული ძირითადი საშუალებების დაგროვილი ცვეთა	-	7,865	160,068	-	-	167,933
2024 წლის 31 დეკემბერი	**-**	**(707,533)**	**(42,902,972)**	**(2,310,510)**	**-**	**(45,921,016)**
ცვეთა წლის მანძილზე	-	(215,546)	(4,930,795)	(577,594)	-	(5,723,935)
გასული ძირითადი საშუალებების დაგროვილი ცვეთა	-	1,755	328,577	3,413	-	333,745
2025 წლის 31 დეკემბერი	**-**	**(921,324)**	**(47,505,190)**	**(2,884,692)**	**-**	**(51,311,206)**
წმინდა საბალანსო ღირებულება						
2024 წლის 31 დეკემბერი	**22,930,445**	**1,032,421**	**22,980,557**	**2,603,589**	**71,731,804**	**121,278,501**
2025 წლის 31 დეკემბერი	**22,930,445**	**813,815**	**22,849,624**	**4,427,877**	**82,454,925**	**133,476,686**

* სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის დაუმთავრებელი მშენებლობა, რომელიც მდებარეობს თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N31-ში, წარმოადგენს ახალი ოფისის მშენებლობაზე გაწეულ ხარჯებს

ძირითადი საშუალებები არ იყო სესხის უზრუნველყოფად გამოყენებული 2025 და 2024 წლების საანგარიშგებო პერიოდებისთვის.

შენიშვნა 4. არამატერიალური აქტივები

	ლიცენზიები და პროგრამები	ინტელექტუალური საკუთრება	სულ
31 დეკემბერი 2023	**4,021,475**	**392,514**	**4,412,987**
შეძენა	1,848,196	732,604	2,580,800
ამორტიზაცია	(2,449,336)	-	(2,449,336)
31 დეკემბერი 2024	**3,420,335**	**1,125,118**	**4,544,453**
შეძენა	1,633,669	-	1,633,669
ამორტიზაცია	(1,765,464)	-	(1,765,464)
31 დეკემბერი 2025	**3,288,542**	**1,125,118**	**4,412,658**

შენიშვნა 5. სხვა გრძელვადიანი აქტივები

	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
ძირითად საშუალებების შეძენისას გადახდილი დღგ	2,607,278	2,413,565
არარეზიდენტ კომპანიაში საგარანტიო თანხა	-	28,068
სულ სხვა გრძელვადიანი აქტივები	**2,607,278**	**2,441,633**

შენიშვნა 6. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
მცირეფასიანი აქტივები	27,605	927,859
სამეურნეო მასალები და საკანცელარიო ნივთები	495,869	546,193
სათადარიგო ნაწილები	689,569	721,970
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	21,958	120,316
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები	**1,235,000**	**2,316,339**

მცირეფასიანი აქტივები შედგება, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 15 იანვრის №17 ბრძანების და საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად, 500 ლარზე ნაკლები ღირებულების აქტივებისგან - ტექნიკა, ინვენტარი, მოწყობილობა და სხვა მცირეფასიანი აქტივები, რომლებიც მიუხედავად გამოყენების ვადის ხანგრძლივობისა, განიხილება მოკლევადიან აქტივებად და აღირიცხება მატერიალური მარაგების მსგავსად.

შენიშვნა 7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
სავაჭრო მოთხოვნები	2,574,141	2,411,311
მოთხოვნები იჯარიდან	300,551	819,036
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	2,490,046	1,504,403
სხვა მოთხოვნები	2,462,670	1,188,652
შენობის რეალიზაციიდან მისაღები თანხები	-	5,761,350
სულ მოთხოვნები	**7,827,408**	**11,684,752**
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი	(2,408,227)	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება	**5,419,181**	**11,684,752**

მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები მოიცავს რეტრანსლიაციის შეძენილ უფლებებზე გადახდილ თანხებს. კონტრაქტუალურად და ეკონომიკური შინაარსით ეს წარმოადგენს შესყიდულ გრძელვადიან არამატერიალურ აქტივებს - რეტრანსლიაციის ლიცენზიებს.

შენიშვნა 7. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება *(გაგრძელება)*

სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანება 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს უმოძრაო ღირებულების ნაშთებს და ასევე ისეთ ნაშთებს, რომელთა ცვლილებაც გამოწვეულია წლის ბოლო კურსის ცვლილებით, რაც ასევე მოგება-ზარალზე ახდენს გავლენას ყოველწლიურად:

	31-დეკ-2025	2025 უმოძრაო	2025 თანაფარდობა	31-დეკ-2024	2024 უმოძრაო	2024 თანაფარდობა
სავაჭრო მოთხოვნები	2,574,141	1,055,978	41%	2,411,311	473,768	20%
მოთხოვნები იჯარიდან	300,551	-	0%	819,036	563,126	69%
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	2,490,046	-	0%	1,504,403	244,562	16%
სხვა მოთხოვნები	2,462,670	1,352,249	55%	1,188,652	1,179,034	99%
შენობის რეალიზაციიდან მისაღები თანხები	-	-	0%	5,761,350	-	0%
სულ ჯამი	**7,827,408**	**2,408,227**	**31%**	**11,684,752**	**2,460,489**	**21%**

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები რეგულარულად ფასდება ამოღებადობის კუთხით, ვადაგადაცილების ანალიზისა და შესაბამისი რისკის შეფასების საფუძველზე. მენეჯმენტის განსაზღვრული პოლიტიკის მიხედვით, 6 წელზე მეტი ხნით ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანებები მიიჩნევა პრაქტიკულად ამოუღებლად და მათზე აღიარებულია 100%-იანი რეზერვი.

2025 წელს უიმედო ვალების ხარჯი შეადგენს 2,408,227 ლარს. (2024 წელს 0 ლარი)

შენიშვნა 8. წინასწარ გადახდილი გადასახადები

	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
ქონების გადასახადი	67,663	146,319
დღგ-ს გადასახადი	14,278,837	12,519,585
სულ საგადასახადო აქტივი	**14,346,500**	**12,665,904**

შენიშვნა 9. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
ფულადი სახსრები სახელმწიფო ხაზინის ანგარიშზე	12,451	18,975
ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშზე	32,477,667	12,341,362
შეზღუდული ფულადი სახსრები	-	25,054,551
სულ ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	**32,490,118**	**37,414,887**

შეზღუდული ფულადი სახსრები მოიცავს, თიბისი ბანკის მიერ, მშენებლობასთან დაკავშირებით გაცემული სესხის ფარგლებში დაკავებულ ფულად სახსრებს, რომელსაც ეტაპობრივად, მშენებლობის დასრულებისმიხედვით უბრუნებს სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელს“. ბანკში განთავსებულ ფულად სახსრებს ერიცხება საპროცენტო სარგებელი საშუალოდ 8.15%. საპროცენტო შემოსავალმა შეადგინა 4,095,089 ლარი (2024: 7,387,857 ლარი)

მისაღები პროცენტი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**-**
დარიცხული პროცენტი	7,387,857
მიღებული პროცენტი	(7,387,857)
მისაღები პროცენტი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**-**
დარიცხული პროცენტი	4,095,089
მიღებული პროცენტი	(3,808,312)
მისაღები პროცენტი 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**286,778**

შენიშვნა 10. ნასესხები საშუალებები

სესხის გამცემი	ვაუტა	%	გაცემის თარიღი	დასრულებ ის თარიღი	მიღებული თანხა	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
სს “თიბისი ბანკი”	ლარი	11.00%	13/03/2019	3/1/2025	3,397,290	-	297,263
სს “თიბისი ბანკი”	ლარი	11.00%	30/12/2019	30/142025	50,000	-	17,500
სს “თიბისი ბანკი”	ლარი	11.00%	11/3/2020	13/12/2025	642,330	-	224,815
სს “თიბისი ბანკი”	ლარი	11.00%	3/6/2020	13/12/2025	2,100,000	-	735,000
სს “თიბისი ბანკი”	ლარი	11.00%	15/09/2020	31/12/2025	876,000	-	480,500
სს “თიბისი ბანკი”	ლარი	11.00%	18/11/2020	13/12/2025	18,000,000	-	6,500,000
სს “თიბისი ბანკი”	ლარი	11.00%	25/12/2020	21/12/2025	2,373,636	-	992,395
სს “თიბისი ბანკი”	ლარი	11.00%	21/06/2021	18/06/2026	3,455,321	-	1,679,670
სს “თიბისი ბანკი”	ლარი	11.00%	30/09/2021	30/09/2026	4,300,000	-	2,359,028
სს “თიბისი ბანკი”	ლარი	11.00%	30/09/2021	30/09/2026	1,629,124	-	893,756
სს “თიბისი ბანკი”	ლარი	11.00%	15/11/2021	15/11/2026	2,838,481	-	1,734,627
სს “თიბისი ბანკი”	ლარი	11.00%	9/12/2021	8/12/2026	1,797,463	-	1,098,450
სს “თიბისი ბანკი”	ლარი	11.00%	30/12/2021	29/12/2026	3,540,355	-	2,163,550
სულ						**-**	**19,176,554**

2024 წელს მიღებული სესხები უზრუნველყოფილია ბანკში განთავსებული ფულადი სახსრებით 25,054,551ლარის ოდენობით.

საპროცენტო ხარჯმა შეადგინა 227,524 ლარი (2024: 2,990,655 ლარი).

შენიშვნა 11. სავაჭრო და სხვა კრედიტორული ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	6,619,227	5,279,863
მიღებული ავანსები	4,609	54,331
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე	83,651	83,651
საგადასახადო ვალდებულებების ანარიცხი	163,858	99,120
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	21,192	21,168
სულ	**6,892,538**	**5,531,240**

შენიშვნა 12. კომერციული საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი

	2025 წელი	2024 წელი
საპონსორო შემოსავალი	740,000	322,740
სარეკლამო შემოსავალი	479,807	900,827
ქონების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	298,488	-
შემოწირულობა	236,875	-
საზღვარგარეთ გაწეული მომსახურება	200,715	204,725
იჯარიდან მიღებული შემოსავალი	134,470	186,442
ბარტერით მიღებული შემოსავალი	81,903	311,714
სპეციალური პროექტები	-	30,609
სხვა შემოსავალი	160,295	186,564
სულ კომერციული საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	**2,332,554**	**2,143,621**

შენიშვნა 13. შრომის ანაზღაურება

შრომის ანაზღაურება ასახავს კომპანიაში დასაქმებული პირებისთვის 2025 და 2024 წლებში შრომითი ხელშეკრულებების საფუძველზე გადახდილ ხელფასებსა და მათთან დაკავშირებულ სავალდებულო გადასახდელებს.

შენიშვნა 14. სამაუწყებლო ხარჯი

სამაუწყებლო ხარჯი მოიცავს იმ ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მაუწყებლობის პროცესის უზრუნველყოფასთან, მათ შორის პროგრამების შექმნასთან, წარმოებასთან, მონტაჟთან, ეთერში განთავსებასთან და ტექნიკურ მხარდაჭერასთან. 2025 და 2024 წლებში სამაუწყებლო ხარჯებში ასახულია სატელევიზიო და რადიო გადაცემების მომზადებისა და მაუწყებლობისთვის გაწეული დანახარჯები, გადაღებისა და მონტაჟის ხარჯები, მაუწყებლობის ტექნიკური უზრუნველყოფა, ავტორული და ლიცენზიური შესყიდვები, ასევე კონტენტის წარმოებასთან დაკავშირებული სხვა ოპერაციული ხარჯები.

შენიშვნა 15. კომუნიკაციის და კომუნალური ხარჯი

	2025 წელი	2024 წელი
ელექტროენერგიის ხარჯი	917,213	570,098
შენობა-ნაგებობების და მათი ტერიტორიების მოვლა/დასუფთავების ხარჯი	573,475	369,614
ბუნებრივი და თხევადი აირის ხარჯი	325,657	131,859
ინტერნეტის ხარჯი	315,218	274,434
წყლის ხარჯი	200,170	194,298
მობილურის ხარჯი	148,519	132,920
სხვა კომუნიკაციის ხარჯი	41,312	59,392
სულ კომუნიკაციისა და კომუნალური ხარჯი	**2,521,563**	**1,732,614**

შენიშვნა 16. სხვა ხარჯი

	2025 წელი	2024 წელი
ქვეყნის გარეთ მივლინების ხარჯი	964,131	850,001
ძირითადი საშუალებების გაუფასურება	249,656	-
უსასყიდლოდ გაცემული აქტივები	240,024	150,123
ქვეყნის შიგნით მივლინების ხარჯი	223,139	156,624
სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევა	39,124	35,478
სასაქონლო მატერიალური მარაგების გაუფასურება	8,758	76,509
სამედიცინო ხარჯი	4,559	2,580
საღსრულებლოს მიერ დაკისრებული ხარჯი	-	43,000
სხვა	154,419	303,215
სულ სხვა ხარჯები	**1,883,809**	**1,617,529**

შენიშვნა 17. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები. მაუწყებელი ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აქვს სასამართლო დავები, რომელიც ძირითადად გამოწვეულია ყოფილი თანამშრომლების მიერ სამსახურში აღდგენის და კომპენსაციების მოთხოვნით. აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში მაუწყებელი არ აღიარებს პირობით ვალდებულებებს რადგან საქმეები არის წარმოებაში. მაუწყებელს არ გააჩნია სხვა მნიშვნელოვანი პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები.

შენიშვნა 18. დაკავშირებული მხარეები

	2025 წელი	2024 წელი
მაუწყებლის ხელმძრვანელობის წლიური ანაზღაურება	564,438	588,800
მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წლიური ანაზღაურება	908,855	801,339
სულ	**1,473,293**	**1,390,139**

შენიშვნა 19. ფინანსური რისკის მართვა

ორგანიზაცია ხარჯებსა და წმინდა აქტივებს მართავს იმის უზრუნველსაყოფად, რომ შეძლოს უწყვეტი ფუნქციონირება და ამავდროულად, მიზნების მიღწევა მინიჭებული მანდატის განხორციელების პროცესში გაწეული ხარჯების ოპტიმიზების გზით.

ფულადი სახსრების არამიზნობრივი გამოყენების რისკი

ორგანიზაციაზე მოქმედებს სახსრების არამიზნობრივი გამოყენების რისკი, ანუ იმის რისკი, რომ სახსრების გამოყენება არ მოხდება დადგენილი მანდატის შესაბამისად და დამტკიცებული ბიუჯეტის პირობებით და ამდენად, ორგანიზაცია დაზარალდება. ეს რისკი ძირითადად დაკავშირებულია პერიოდის განმავლობაში გამოყოფილი ასიგნების ხარჯვასთან.

ზემოაღნიშნული რისკების სამართავად, ორგანიზაციაში შექმნილია ფუნქციურად დამოუკიდებელი შიდა აუდიტის დეპარტამენტი, რომლის ძირითადი ამოცანაა შიდა კონტროლის ეფექტიანობისა და ადეკვატურობის შემოწმება, შეფასება და მონიტორინგი. შიდა აუდიტორების მიერ გამოტანილი დასკვნები გარემოებების შესაფერისია და სათანადოდ ხდება მათ მიერ შესრულებული სამუშაოების ზედამხედველობა, მიმოხილვა და დოკუმენტირება. ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს შიდა აუდიტორების მიერ წამოჭრილი საკითხების დროულ გადაჭრას და დანერგვას.

გარდა ამისა, შიდა კონტროლის გასაძლიერებლად, საფინანსო-ეკონომიკური გადაწყვეტილებების შესრულების პროცესში უფლება-მოვალეობები გადანაწილებულია შესაბამის პასუხისმგებელ თანამშრომლებს შორის. ნებისმიერი ფინანსური ტრანზაქცია საჭიროებს სულ ცოტა ორი დონის ავტორიზაციას, რაც მინიმუმამდე ამცირებს შეცდომის დაშვების და თაღლითობის ალბათობას.

ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ორგანიზაცია ვერ შეძლებს ყველა ვალდებულების დროულად დაფარვას. ორგანიზაციის ლიკვიდობის პოზიცია ყურადღებით იმართება.

შენიშვნა 20. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ არ გამოვლენილა ისეთი მოვლენები, რომლებიც არსებით გავლენას მოახდენდა ფინანსურ ანგარიშგებაზე ან მოითხოვდა დამატებით განმარტებას / კორექტირებას სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში.